

## სარჩევი


რა არის ახალი ....................................................................................................................2

არარეზიდენტზე გაცემულ ავანსზე უკუდაბეგვრის დღგ-ს დარიცხვა ..........................................2

გასწორებული შეცდომები .................................................................................................4

სხვა მოდიფიკაციები .........................................................................................................4

# ბალანსის რელიზი_1.3.0.4

15.06.2022

## რა არის ახალი

### არარეზიდენტზე გაცემულ ავანსზე უკუდაბეგვრის დღგ-ს დარიცხვა

ავანსის დღგ-ის დარიცხვების ფორმირების ფუნქციონალს დაემატა არარეზიდენტზე გაცემულ ავანსზე უკუდაბეგვრის დღგ-ს დარიცხვის შესაძლებლობა.




შესაბამისი ოპერაციების განსახორციელებლად საჭიროა:

1. ველში „ოპერაციის ტიპი“ აირჩიოთ „არარეზიდენტზე გაცემული ავანსი“
2. აირჩიოთ შესაბამისი კონტრაგენტი
3. აირჩიეთ საფუძველი დოკუმენტი
4. დააკლიკეთ ღილაკზე გატარება/გატარება და დახურვა

მაგალითად წარმოვიდგინოთ პირობითად გადავიხადეთ ავანსი არარეზიდენტი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის 1000 ლარი, გაწეული მომსახურების ღირებულება კი პირობითად შეადგენს 1500 ლარს. არარეზიდენტზე გაცემულ ავანსზე უკუდაბეგვრის დღგ-ს დარიცხვის დოკუმენტის საფუძველზე გაკეთდება შემდეგი ბუღალტრული გატარებები

| ანგარიში დბ | ანგარიში კრ | თანხა | შინაარსი |
|---|---|---|---|
| 3344- უკუდაბეგვრის ჩასათვლელი დღგ | 3335- უკუდაბეგვრის დარიცხული დღგ | 180 | ავნასზე დარიცხული/გადახდილი უკუბეგვრის დღგ |

ხოლო შესყიდვის მხარეს, როდესაც გავაფორმებთ საბოლოოდ მომსახურების მიღებას, და შესაბამისად ავანსის ჩანართში მივაბამთ გადახდილ ავანსს




დოკუმენტის საფუძველზე გაკეთდება შემდეგი ბუღალტრული გატარებები

| ანგარიში დბ | ანგარიში კრ | თანხა | შინაარსი |
|---|---|---|---|
| 3344- უკუდაბეგვრის ჩასათვლელი დღგ | 3335- უკუდაბეგვრის დარიცხული დღგ | 270 | უკუდაბეგვრის დღგ |
| 3335- უკუდაბეგვრის დარიცხული დღგ | 3344- უკუდაბეგვრის ჩასათვლელი დღგ | 180 | არარეზიდენტზე გაცემული მომსახურების ავანსი |

## გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია დანართი ა-ში შეღავათების დათვლის ხარვეზი
- გასწორებულია გაყიდვების რეპორტში კონსულტანტის ჭრილში გაყიდული საქონლის გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია გაყიდვების დამხმარეში დეტალური ჩეკის ბეჭდვისას დასახელების ხარვეზი
- გასწორებულია ანგარიშებაში „საქონლის რაოდენობები და ფასის ტიპები“ სვეტი „რაოდენობაში“ ინფორმაციის გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია ბრუნვითი უწყისში სავალუტო თანხის ჯამის გამოტანის ხარვეზი

## სხვა მოდიფიკაციები

- შესყიდვის საფუძველზე ფულის გასვლის დოკუმენტის შექმნის შესაძლებლობა
- გაცემულ ზედნადებში ხარჯის გამწევის დაზუსტების შესაძლებლობა
- ნაშთების წაღების სერვისში რეზერვების გათვალისწინება
- Shop ლიცენზიის მქონე ბაზებში, ვებ-სერვისების გათვალისწინება